

## საერთაშორისო კონფერენცია

„უმადლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია:

სტრატეგიები და გამოწვევები - IHE 2017“

2017 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი ატარებს პირველ საერთაშორისო კონფერენციას „უმადლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები - IHE 2017“ (Internationalisation in Higher Education: strategies and challenges - IHE 2017).

კონფერენცია ტარდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TEMPUS პროგრამის RETHINKe საგრანტო პროექტის (54417 8-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR, საგრანტო ხელშეკრულება 2013-5076) ფარგლებში.

საგრანტო პროექტი „განათლების რეფორმა ცოდნის საერთაშორისო გაცვლის საშუალებით“ - RETHINKe (Reform of Education Thru International Knowledge exchange) ითვალისწინებს ურბანისტიკასა და არქიტექტურის სადოქტორო ინგლისურენოვანი ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავებას გაძლიერებული გარემოს დაცვის კომპეტენციებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი RETHINKe პროექტის კონსორციუმის წევრია.